

დასავლეთ საქართველოში ცნობილია მხოლოდ პეტრა-  
ჯიხისძირიდან.

პეტრა-ციხისძირის ნუმიზმატიკურ მონაპოვარში დიდ ინტერესს იწვევს ტრაპიზონის ასპრები და მისი მინაბაძები-კირმანეულები (XIII-XV სს). აღნიშნული საფასეუბი ფართოდ მიმოიჭეოდა XIII-XIV სს საქართველოში. ჩვენს რეგიონში კი ისინი ცნობილია მხოლოდ პეტრა-ციხისძირიდან.



7



# კუტენა-ციხესიმიგრატიონი

© 2019 KJV Bible

[www.ajaraheritage.ge](http://www.ajaraheritage.ge)

[info@ajaraheritage.ge](mailto:info@ajaraheritage.ge)



**f** පොතිලාස පොරු-සිමාගලා/Petra Fortress



I



II



3



4

პეტრა-ციხისძირი, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით  
მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია. სხვადასხვა დროს  
აქ გამოვლენილმა მონეტებმა, როგორც ნივთიერმა  
საისტორიო წყარომ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ  
პეტრა-ციხისძირი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის  
მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია. დანი-  
ნაურებულია ადგილობრივი მოსახლეობა, განვითა-  
რებულია სასაქონლო მეურნეობა და აღებ-მიცემობა.  
ფულადი მეურნეობა განვითარებული ჩანს ძ. წ. Ⅴ  
საუკუნიდან. იგი ერთ-ერთი პუნქტია, სადაც ჩაისახა  
და განვითარდა ფულადი მიმოქცევა. ეკონომიკური  
კავშირები არსებობს ანტიკურ სამყაროსთან. ამის  
დადასტურებაა აქ მოპოვებული პონტოს სამეფოს  
ქალაქ ამისოს მონეტები(ძ.წ. Ⅳ ს, ძ.წ. Ⅰ ს). ამისოს  
ძ.წ. Ⅰ საუკუნის მონეტები დასავლეთ საქართველოს  
სანაპირო ზოლში ფართოდაა გავრცელებული, რაც  
დაკავშირებულია მითოდიდატე ევპატორის პოლიტიკურ  
მოღვაწეობასთან. რომაულ ხანში აქ დგას სამხედრო  
გარნიზონი, რამაც გამოიწვია რომაული ვერცხლისა  
და სპილენძის მონეტების დალექვა (ადრიანე(117-138  
წ), ანტონინუს პიუსი(138-161 წ), კარაკალა(211-217  
წ), სეპტიმიუს სევერუსი(193-211 წ), გორდიანე Ⅲ  
(238-244 წ), დიოკლეტიანე(284-305 წ), და სხვ.). ამ  
პერიოდიდან მოკიდებული უწყვეტად გვაქვს ყველა  
პერიოდის ნუმიზმატიკური მასალა განვითარებული  
შუა საუკუნეების ჩათვლით. მონეტების შესწავლამ  
გვიჩვენა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ადრე შუა საუ-  
კუნეებში მიმოიქცეოდა სასანური (ბაპრამ V(406-439  
წ), ხოსრო I ანუშირვანი(531-573 წ), ხოსრო II(590-

628 წ) მონეტები. ისინი დასავლეთ საქართველოში  
მრავლადაა და პეტრა-ციხისძირში მათი გამოვლენა  
კანონზომიერია, რადგან ამ პერიოდში ის ნარმოადგენდა  
ბიზანტიულთა და ირანელთა დაპირისპირების ეპიცენ-  
ტრს. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ექსპედიციის  
მუშაობის დროს (ექსპედიციის ხელმძღვანელი: დ.  
მინდორაშვილი) ირანელი მეომრის აღჭურვილობასთან  
ერთად აღმოჩნდა IV-VI ს. მონეტების განი.

ბიზანტიური საფასეები მიმოიქცევა IV საუკუნიდან  
(იმპერატორი არკადიუსი, (395-408 წ), ბასილი I და  
კონსტანტინე (VII, 867-879 წ), რომანოზ I ლეკაპენოსი,  
(919-921 წ), კონსტანტინე VII (?), (945 წ), მიხეილ IV  
პაფლაგონელი(1034-1041 წ), ისააკ I კომნენოსი (1057-  
1059წ), ან კონსტანტინე X დუკა(1059-1067 წ), კონ-  
სტანტინე VIII (976-1025 წ.) და სხვ.

პეტრა-ციხისძირში შემთხვევითაა აღმოჩნილი  
თამარ მეფის სახელით მოჭრილი სპილენძის 2 მონე-  
ტა, მათზე თამარისა და დავითის სახელები იყითხება.  
ანალოგიური მასალა დიდი რაოდენობითაა საქართვე-  
ლოში მოპოვებული, მაგრამ მნიშვნელოვანია იმ თვალ-  
საზრისით, რომ ეს არის თამარის, და, ზოგადად, შუა-  
საუკუნეების ქართული საფასეების გამოვლენის  
პირველი შემთხვევასამხრეთ-დასავლეთსაქართველოში.

აღმოჩნილია ასევე რუმის სასულთნოში ქაიქუბად  
I (1219-1236), ქაიხუსრუ II (1237-1246) და სხვათა  
მმართველობის დროს მოჭრილი მონეტების განი  
(150 ცალი). რუმის სასულთნოში (მცირე აზია) XII-XIII  
საუკუნეებში მოჭრილი ვერცხლის მონეტები ფართოდ  
იყო გავრცელებული საქართველოში, მაგრამ სამხრეთ-



5



6